№ 59 მარტი 19, შაბათი 1888 მარტი 19, შაბათი № 59

გაზეთი ღირს

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 70
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ ბებუთოვის ქუჩ., სახლი № 9, ა ნ ხიდდიველის საგაზეთოს გოლოვინის პროსპექტი, წერა კითხვის საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1888 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877 1888

განცხადება

ქუთაისის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი, თავადი წულუკიძე, ამით აუწყებს ქუთაისის მაზრის თავად-აზნაურთა, რომ პირველს აპრილს ქუთაისის დეპუტატთა სახრანიაში დანიშნულია კრება. ვსთხოვ თავად-აზნაურობას, მობრძანდნენ დანიშნულ დროსთვის და წარმოადგინონ საბუთები საარჩევანო უფლებისა, თანხმად რბ მუხლისა, შენიშვნა რდ, [illegible] ტომი IX, გამოცემა 1876 წ. და უმაღლესად გადმოცემული 8 ნოემბერს 1887 წელსა აზრი სახელმწიფო საბჭოსი შეცვლისათვის ქონებრივის ცენზისა.

ქუთაისის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი
(3—3) თავადი წულუკიძე

ტფილისი, 18 მარტი

ეს ოციოდე წელიწადია, რაც არსებობს ახალი ქართული მწერლობა, რომელიც პატარ-პატარა ნაბიჯით მაინც წინ-წინ მიისწრაფება. ამ დროს განმავლობაში მრავალი სხვა-და-სხვა ღირსების და შინაარსის წიგნები დაიბეჭდა, რამდენიმე ჟურნალ-გაზეთი დაარსდა და დღეს უეჭველია, რომ საზოგადოება, ერი ჰგრძნობს საკუთარ მწერლობის საჭიროებას, პატივსა სცემს ნაბეჭდს სიტყვას, რომ მწერლობა ავად თუ კარგად ემსახურება იმის ინტერესებს; ეს გარემოება იმის საბუთია, რომ დღეის იქითაც მწერლობა კიდევ მეტს თანაგრძნობას მოიპოვებს და კიდევ უფრო განაძლიერებს თავის მოღვაწეობასა და შრომას. ჩვენი საზოგადოება რომ დღითი-დღე ეჩვევა კითხვასა და ცოტა-თი მაინც თვალ-ყურს ადევნებს ჟურნალ-გაზეთობას და საზოგადო საქმეებს, ეს იქიდგან სჩანს, რომ საქართველოს სხვა-და-სხვა ადგილებში ქართულს მწერლობას გასავალი აქვს. ამ ათი-თხუთმეტიოდე წლის წინად ერთს ქართულს წიგნის მაღაზიასაც ვერ იპოვიდით მთელს საქართველოში, მაშინ-როდესაც დღეს, ტფილისს გარდა, კიდევ რამდენსამე ქალაქში დაუარსებიათ მაღაზიები, სახელდობრ, ქუთაისსა, გორსა, ახალციხესა და დაბა ხონში. ამ ადგილებში, როგორც სხვა-და-სხვა ცნობებიდგანა სჩანს, ვაჭრობა რიგიანად მიდის და მაღაზიების პატრონებს შეუძლიანთ, მეტადრე დიდს ქალაქებში, თავი გაიტანონ მარტო წიგნების ვაჭრობითა.

ჩვენა ვსთქვით, ქართულ წიგნების გამრავლება და გავრცელება იმის ნიშანია, რომ ხალხი და საზოგადოება ჰგრძნობს მწერლობის საჭიროებას და პატივსა სცემს ნაბეჭდ სიტყვას, მაგრამ იმას-კი ნუ იფიქრებთ, ვითომ ქართულ წიგნების რაოდენობით და გავრცელებით შესაძლოა ავწყოთ და გავზომოთ, თუ რამდენად საჭიროებს საზოგადოება მწერლობასა და რამდენად ძლიერია ეგ საჭიროება. საბუთი არა გვაქვს ვსთქვათ, ვითომ ამ საჭიროების დამაკმაყოფილებელი იყოს ქართული მწერლობა, ვითომ ეს მწერლობა ეშესაბამება და შეჰფერის ერის სურვილსა და საჭიროებას კითხვისას. პირ-იქით, ჩვენ იმ აზრისანი ვართ, რომ ჩვენი მწერლობა ბევრად დაბლა სდგას საზოგადოების საჭიროებაზე, და იგი სავსებით ვერ აკმაყოფილებს საზოგადო გრძნობა-გონებასა და აზრსა. ამის მიზეზად შეგვიძლიან ის გარემოებაც დავასახელოთ, რომ ჩვენ ნაკლებადა ვბეჭდავთ რიგიან წიგნებს და ხალხს ნაკლებად ვაძლევთ ისეთს საკითხავს, რომელიც შეადგენს ჩვენის მწერლების საუკეთესო ნაწარმოებთა. აბა, გადაათვალიერეთ ის პატარა წიგნაკები, რომელთაც ჩვენი წიგნის გამომცემლები ჩხოსავით თავზე გვაყრიან, და თქვენ დარწმუნდებით, რომ ჩვენი აზრი სამართლიანია. ეს წიგნაკები ჰმოწმობენ, რომ ვერც ავტორთა და ვერც გამომცემელთა უმრავლესობას ვერ შეუგნია, თუ რა მიაწოდონ მკითხველებს, რა გვარ მწერლობას მისცენ უპირატესობა. იმ წიგნაკებს ისიც ეტყობათ, რომ შემადგენლებს არც საგანი აქვსთ გამორკვეული და შეგნებული და ენასაც ისე ძლიერ ჰღალატობენ და ჰგმობენ, რომ საზოგადოებას არ ძალ-უძს შეიწყნაროს ეს დიდი დანაშაულობა. ამასთანავე ისიც გავიხსენოთ, რომ დღემდის წიგნის ვაჭრობა, თუმცა ზოგიერთ ადგილებში კიდევაც დამკვიდრდა, მაგრამ დაბა-სოფლებში-კი არ არსებობს; საქართველოში ორიოდ-სამიოდ კაცს თუ იპოვით, რომლებიც სოფელ-სოფელ ატარებენ წიგნებსა, ისიც კარგი. ერთის სიტყვით, არც თვით მწერლობა სდგას იმ წერტილზე, რა წერტილზედაც უნდა იდგეს, და არც წიგნის ვაჭრობაა რიგიანად მოწყობილი. აქედგან ცხადია, რომ თუ ჩვენი მწერლობა მაინც წარმატებაში შედის, ამის მიზეზი ის არის, რომ საზოგადოება ჰგრძნობს საჭიროებას მწერლობისას და კითხვისას.

ეს გარემოება იმას გვასწავლის და გვიმტკიცებს, რომ მწერლობისა და გამომცემლობის გასაძლიერებლად ცდა და შრომაა საჭირო და არა მარტო ასოთ-ამწყობლობა. თითქო დღემდის რიგიანად ვერ შეგვიგნია, რომ მწერლობას საგნადა აქვს განასპეტაკოს და გააპატიოსნოს მკითხველთა აზრი და გრძნობა. ჩვენ თითქო დაგვვიწყნია, რომ სხვათა შორის საუკეთესო საკითხავი ხალხისათვის სამშობლო და უცხო კლასიკური მწერლობაა და ამიტომაც დღემდის ჩვენ არა გვაქვს იაფი, მდაბიო მკითხველისათვის ხელ-მისაწვდომი გამოცემა სამშობლო და უცხო მწერალთა ნაწერებისა. კლასიკური თხზულება იმიტომ არის კლასიკური, რომ იმის წასაკითხავად ძალა შესწევს მდაბიო მკითხველსაც. ჩვენის მწერლობის ძველთა და ახალთა საუკეთესო ნაწერთა გაგება და შეთვისება, როგორც გამოცდილებით ვიცით, ხალხს კარგად შეუძლიან. აი, სწორედ ამიტომაც საჭიროა, ქართულ წიგნების გამომცემელთა ყურადღება ათხოვონ ამ გარემოებას და ხალხს მიაწოდონ მართლა რამ საამო და სასიამოვნო, გრძნობისა და გონების მარგებელი საკითხავი. დარწმუნებულნი უნდა ვიყვნეთ, რომ, თუ ეს აზრი როდისმე განხორციელებულ იქმნა, მწერლობა უფრო ჩქარის ნაბიჯით გავრცელდება და ხალხი მეტის პატივის-ცემითა და სიყვარულით მოეკიდება ნაბეჭდს სიტყვას, და ეს ხომ ყველასათვის სასიამოვნო და საგულისხმო იქმნება.

რასაკვირველია, ეს აზრი ახალი და ძნელად შესათვისებელი არ არის და ბევრს კიდეც სწამს იგი, მაგრამ საქმე ის არის, რომ სიტყვის შესრულება გვიჭირს და გვეძნელება.

ა. ს—ი

◆

ახალი ამბავი

⁂ გუშინ ნაშუადღევის სამს საათზედ ტფილისში დაბრუნდა რუსეთიდგან მთავარ-მმართებელი თ. დონდუკოვ-კორსაკოვი.

⁂ 26 მარტს, როგორც ვაცნობეთ ამას წინად ჩვენს მკითხველებს, ბანკის თეატრში ბ-ნის ვლ. აღნიაშვილის ხორო გამართავს კონცერტს ცხოველის სურათებით. კონცერტის პირველ განყოფილებაში ხორო იტყვის 6 ახალს სიმღერას. სხვათა შორის თთ. ციციანთ სიმღერას «შევკრათ წითელ-წითელი“, რომელიც ნოტებზე დაუწყვია ბ-ნ ბალანჩივაძეს. მეორე განყოფილებაში ხორო იტყვის ექვს ახალ ევროპიულს სიმღერებს სხვა-და-სხვა ოპერებიდამ და სახელოვან კომპოზიტორების ნაწარმოებიდამ. მესამე განყოფილებაში ცხოველს სურათებს წარმოადგენენ თ. გრ. ორბელიანის პოემიდამ «სადღეგრძელო». [illegible] რა [illegible] სურა-

ფელეტონი

უსხოთა შორის

რა ცოდვა იქნება?—სადიდ-მარხვო საუბარი.—რა ძალა აქვს ცხოველ სიტყვას?—იტალიელი დონ-ბოსკო.—ჭეშმარიტ გზაზე დაბრუნებული ავაზაკი.—არა-სადიდ-მარხვო ამბავი.—ირლანდიელი ბლენტი.—ჯერ ქურდი და მერე მამულიშვილი.—„ბეთლემის ვარსკვლავი“.—რა იყო ეს ვარსკვლავი.—ტიხო-დებრაგეს ვარსკვლავი.—წელს რა ვარსკვლავს მოელიან?—მეცნიერების აზრი ამ ვარსკვლავების შესახებ.—უსაფუძვლო შიში მეორედ-მოსვლისა.—როდის მოელება ბოლო ჩვენს დედამიწას?—მეცნიერებას დავუჯეროთ!

რა დიდ ცოდვად ჩაგვეთვლება, ან ვინ რას გვიკიჟინებს, რომ დღეს სადიდ-მარხვო, ცოტა სულის საცხონებელ საგნებზე ჩამოვაგდოთ ლაპარაკი. დროც სწორედ შესაფერია:—სადიდ-მარხვაა და დიდ-მარხვა, ხომ მოგეხსენებათ, ცოდვების მოსანანიებლად არის დაწესებული, თუმცა-კი [illegible]შიაც რომ მოვინანიებდეთ ხოლმე ცოდვას,—არა მგონია, აწყინოს ვისმე.

რით შეიძლება ცოდვები მოინანიოს კაცმა? მაგალითად კეთილ, ცოცხალ, გულ-წრფელ სიტყვას შეუძლიან ადამიანი მრუდე გზიდამ სწორე, კეთილ გზაზე დააბრუნოს?

ჩვენში რა მოგახსენოთ, და უცხო ქვეყნებში-კი შესაძლო ყოფილა. აი ერთს მაგალითს გიამბობთ.

ამ ცოტა ხანებში იტალიაში გარდაცვლილა ერთი სულიერი მამა, სახელად დონ-ბოსკო, რომელსაც თავის სიცოცხლეში ბევრი კეთილი და სამაგალითო საქმე გაუკეთებია. ბევრს საწყალს, საპყარს, ბევრს უპატრონოდ დარჩენილს პატარა ყმაწვილს თავშესაფარი ადგილი გაუჩენია სამადლო სახლებში, რომელიც დონ-ბოსკოს მხნეობით და შემწეობით არის თურმე აშენებული.

არ გეგონოთ, ვითომ დონ-ბოსკო მდიდარი, დიდის შეძლების პატრონი ყოფილიყოს. არა,—იმის შეძლება, სიმდიდრე მხოლოდ კაცთ-მოყვარე გული და ცხოველი სიტყვა იყო, სიტყვა, რომელიც უებრად მოქმედებდა თურმე ყველა მსმენელზე. არც ერთი მდიდარი, შეძლებული კაცი ფულს არ უჭერდა კეთილს მოძღვარს: ყველამ იცოდა, რა საქმესაც მოჰხმარდებოდა ეს ფული. ხშირად უნახავთ დონ-ბოსკო ღამეობით მდიდარ სახლიდამ გამოსულიყოს და ჯიბეები ფულით სავსე ჰქონოდეს. ყველამ იცოდა დონ-ბოსკოს ჩვეულება:—დღით ღარიბებთან დაიარებოდა ფულების დასარიგებლად, ღამით—მდიდრებთან ფულების შესაგროვებლად. ყველაზე უკეთ-კი, რასაკვირველია, ეს ჩვეულება იცოდნენ ღამის რაინდებმა, რომელნიც არცა ჰხვნენ, არცა სთესვენ და მზა-მზარეულად მკიან იქ, სადაც სხვებს მოუხნავ-მოუთესიათ. ავი, ბოროტი კაცი ყველგან არის. დონ-ბოსკომაც კარგად იცოდა ეს, მაგრამ არ ერიდებოდა, არ უფრთხოდა. რის იმედი ჰქონდა?—ცხოველის, წრფელის სიტყვისა,—ეს იყო იმის ფარიცა და ხმალიც. არც უმტყუნია ამ ფარ-ხმალს.

ერთს ღამეს დონ-ბოსკო ერთს მივარდნილს, მიყრუებულს ქუჩაში მიდიოდა. ერთბაშად გადუდგა წინ ერთი ავაზაკი, რომელიც განგებ დამალულიყო თურმე და ამის დაბრუნებას უთვალ-ყურებდა, და უთხრა:

— ან შენი ქისა, ან ცოცხალი ეღარ წახვალ აქედამ!

დონ-ბოსკომ გულ-დინჯად უპასუხა:

— მართალია ჯიბეში ფულით გატენილი ქისა მიდევს, მაგრამ შენ-კი ვერ მოგცემ. ამ ფულს მშიერ-მწყურვალ ღარიბებისათვის ვაგროვებდი და ნუ თუ გამოსწირავ იმ საწყლებს, რომელნიც ხვალ ჩემგან ლუკმა პურს ელიან!

მიჰყვა ასე ლაპარაკს, დარიგება დაუწყო, გამოჰკითხა ავაზაკს მამაშვილურად ვინაობა, ყოფა-ცხოვრება, და თავის მშვიდის და წრფელის სიტყვით იქამდინ მიიყვანა, რომ ავაზაკმა აქვე, ქუჩაში, დაიჩოქა დონ-ბოსკოს წინაშე, ყველა თავის ცოდვა გულ-წრფელად აღიარა, მოინანია და შენდობა ითხოვა.

მოდით და ეხლაც ნუ დაიჯერებთ, რომ ცხოველ სიტყვას დიდი მნიშვნელობა, დიდი გავლენა შეუძლიან იქონიოს ადამიანზე! ტყუილად-კი არ უთქვამს რუსთაველს:

> გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი.

მართალია, მაგრამ მხოლოდ მაშინ-კი, როდესაც «ენა ტკბილად მოუბარი» გულიდამ ეზიდება სიტყვებს და ეს გულიც წრფელია, წმინდაა და მოყვარული!..

* *

იქნება დონ-ბოსკოს ამბავი ბევრს ეუცხოვოს, არ ეჭაშნიკოს. ვინ იცის, ვერას გაიგებ ამ ჩვენის მკითხველებისას, ჭრელი ხალხია ძალიან, ათასის ჯურისა და გემოვნებისა,—რაც ერთს მოსწონს, იმაზე მეორე ცხვირს იფხლეკავს.

აი ეხლაც,—დარწმუნებული ვარ,—ბევრი იტყვის:—«ძალიან მოუდიდმარხვევა ამ ჩვენმა «დონ-იაგომაო!»

აჰა, მეორე ამბავი, სრულიად სხვაგვარი. ეს ამბავი ზღაპარსა ჰგავს, თუმცა მართალი-კია.

ირლანდიელი ბლენტი დღესაც ცოცხალია. ბლენტს ძლიერ უყვარს თავისი ქვეყანა—ირლანდია, და სიტყვით თუ საქმით ირლანდიელების კეთილდღეობისათვის იღწვის. დაუღალავად, თავ-განწირულად უქადაგებს, ამხნევებს თავის თანა-მოძმეთა, და იმის მძლავრი და მჭევრი სიტყვა ძლიერადაცა სჭრის და მოქმედობს ირლანდიელებზე. ამიტომაც ბლენტს არა ერთხელ და ორჯელ უსიამოვნება გამოუვლია ბრიყვთაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თები იქმნება წარმოდგენილი: ა) მეფე ფარნაოზ; ბ) მეფე მირიან; გ) მეფე ვახტანგ გორგასლანი; დ) დავით აღმაშენებელი; ე) თამარ დედოფალი, რომელსაც თან ახლავან შოთა რუსთაველი, დიდი ორბელი, მხარგძელი და გამრეკელი; ვ) ვახტანგ სჯულმდებელი და სხვანი. კონცერტი დაიწყება საღამოს 8½ საათზედ.

⁂ აგრონომს ბ-ნს ვლ. ინანაშვილს, რომელიც თითქმის ხუთი-ექვსი თთვე იმყოფებოდა საზღვარგარეთ ევროპაში, უნახავს სხვათა შორის ბორდოს ქალაქში იქაური ელჩი რუსეთისა, შვილი განსვენებულის და ჩვენის წარსულის წინაშე დიდის ღვაწლ-მოსილის მარი ბროსესი. ბ-ნს ელჩს ჰქონია ხელთ-ნაწერი საქართველოს მეფეთა და ბატონიშვილთა მიწერ-მოწერისა რუსეთის მეფეებთან. ეს ხელთ-ნაწერი თვით მეფეთა და ბატონიშვილთა ხელით არის ნაწერიო. «წერა-კითხვის საზოგადოებამ» შეიტყო ეს ამბავი და მიჰმართა ბორდოს ელჩს, ბ-ნ ბროსეს, წერილით და დიდის თხოვნითა სთხოვა, დაავალოს, გადააწერინოს ეს მიწერ-მოწერა და გამოუგზავნოს მისი პირი საზოგადოების ბიბლიოთეკისათვის. ელჩი ბ-ნი ბროსე დიდის ყურადღებით ადევნებს თურმე თვალს საქართველოს ისტორიის შესახებს ამბებსა და მდიდარი ბიბლიოთეკა აქვს ზოგიერთის ძვირფასის ხელთ-ნაწერებისა. საზოგადოებას უთხოვნია მისთვის ამ ხელთ-ნაწერების გადაწერაცა საზოგადოების ხარჯითა და საფასით. თავის დროზე შევატყობინებთ მკითხველებს, რა პასუხსაც მიიღებს საზოგადოება საქართველოს სახელოვანის მეისტორიეს შვილისაგან.

⁂ ცხენის რკინის გზის კონტროლიორი, ბ-ნი ედუარდ დიუბეკი, მეტად უდიერად ეპყრობა ვაგონებით მიმომსვლელთა. ერთხელ თათრის მეიდანზე სთხოვეს ვაგონები დააყენეო, მაგრამ არ დააყენებინა კონდუქტორს, ვაგონი ისეც ნელა მიდისო; ამის გამო ერთი ქალი ჩამოსვლის დროს წაიქცა ტალახში. ერთხელ კიდევ, საღამო ხანს, ჩაისვა ვაგონში მეარღანე და ვარანცოვის ქუჩაზე ისე დადიოდა; რამდენმა სთხოვა მოეშალა ეს უწესოება, მაგრამ ყური არავის ათხოვა; ვაგონში მსხდომნი ნახევარ გზაზედ ჩამოდიოდნენ. 16-ს ამ თთვეს კიდევ სრულიად უმიზეზოდ შეურაცხყოფა მიაყენა ვიღაც ბ-ნს დ. კ—ლკს. ეს უკანასკნელი ჩივილს უპირობს.

⁂ თათრის მეიდნის დუქნებში ძალიან გახშირებულია ქაღალდის თამაშობა. გამოუცდელ ხალხს იტყუებენ და ულუკმა-პუროდ სტოვებენ. 15 ამ თთვეს ბაბ იზმაილოვის დუქანში მოეგოთ ერთის კაცისათვის 160 მან. ამ საწყალს ბოლოს შეეტყო, რომ ქაღალდები ადრევე დანიშნული ჰქონიათ იმ «ქულიკებსა»! ფულის მომგები შეიპყრეს.

⁂ მიხეილის ხიდთან, მტკვრის-პირის ქუჩაზე, კიბე არის ამოტანილი წყლიდამ წერილის ჭურჭლით წყალის საზიდად. ამ კიბის მოაჯირი თავში გადანგრეულია და შეიძლება გადავარდეს ვინმე. თვით კიბეზე მუდამ ჭოჭი სდგას, ნაგვით და სხვა უწმინდურებით არის სავსე, ასე რომ მტკვარზე ჩასვლა შეუძლებელია. გუშინაც ერთი ქალი ამოდიოდა სავსე კოკით, დაუსხლტა ფეხი, კოკა დაემსხვრა და თვითონაც სამ ფეხ კიბეზე ჩაგორდა და თავ-პირი დაიმტვრია.

⁂ ავჭალის წყალის კრანიდამ დილ-დილობით უშვებენ წყალს და ქუჩებს ძალზე ატალახებენ. ვგონებთ ბევრად ემჯობინებოდა, ქუჩები მოერწყათ ხოლმე ერთ ალაგას ჭოჭის დაყენების მაგიერ.

⁂ ახალ-სენაკი (სენაკის მაზრა): უნდა მოგახსენოთ, რომ ეს ჩვენი დაბა და მთელი მაზრაც ვერ არის მაინცა-და-მაინც კარგს მდგომარეობაში. ქურდობა ისევე გაჩაღდა სენაკის მაზრაში, გზები და ხიდები სულ ერთიანად გაფუჭებულია და წვიმიანს დღეში მგზავრი დაბას ვერ გასცილდება. აქედგან შეგიძლიანთ დაასკვნათ, თუ რა გზებია სოფლებში. თვით სენაკში ქუჩები ურმებისაგან გაფუჭებულია და ყურადღებას არავინ აქცევს.

⁂ სოფ. ხეთა (ზუგდიდის მაზრა): აქ სცხოვრობს ერთი დღეგრძელი გლეხი, ჯუღუ ბუკია, 125 წლისა; არავის ახსოვს ეს კაცი ავად ყოფილიყოს და დღესაც იმდენად ჯანმრთელად და სალად არის, რომ არც ერთს ტირილს არ დააკლდება და მუშაობასაც ახერხებს. ჭამა და სმა საუცხოვოდ ზომიერი და რიგიანი იცის, და თვალსაც არ აკლია, თუმცა ძლიერ შორს ვერ იხედება. ამ მოხუცსა ჰყავს ოთხი ვაჟი და ექვსი ქალი. ამისი ერთი შვილი-შვილი ორმოცის წლისაა. ჯუღუ ბუკია თავის შრომით სცხოვრობს და ეს ხუთიოდე წელიწადია, რაც თავის შვილებს გამოეყო.

⁂ სოხუმი: ჩვენი ქალაქი კარგად შენდებოდა; ასე გასინჯეთ, რომ ომის წინად დანგრეული ქალაქი თითქმის სრულიად აღადგინეს, მაგრამ ამ უკანასკნელმა არა-სამშვიდობო ამბებმა ძლიერ შეაშინა მცხოვრებლები და თითქმის აღარავინ არას აკეთებს.

⁂ იქიდამვე: სიმინდს გვარიანი ფასი დაედვა და კარგა ბლომადაც მიდის საზღვარ-გარეთ, უმეტესად ოსმალეთში. ფუთს სიმინდში 67 კაპ. იძლევიან.

<>

მეფის კურთხევა საქართველოში

მე-XVIII საუკუნეს.

1745 წელს პირველ ოქტომბერს დიდის მზადებითა და ამბით იდღესასწაულეს ქართველებმა კურთხევა მეფე თეიმურაზ მეორისა. ამ კურთხევას მაშინდელნი ქართველნი დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ. «ეს ღმრთამსახო, — ამბობდნენ მაშინ, — მეფეს თეიმურაზს წყალობად მოუვლინა... თორემ რამდენი წელიწადი გარდასულ იყო, ჟამთა-ვითარებისაგან ცხებული მეფე ქართლში არა მჯდარიყო. მადლობდეთ ღმრთისა».

თეიმურაზმა გაგზავნა კაცი კახეთს და კურთხევაზე მოიწვია თავისი შვილი, პატარა კახი, ერეკლე მეორე, და ანნა დედოფალი კახეთის დარბაისლებითურთ. მეფემ გასცა ბძანება, მოამზადეთ დროშები, როგორც წინად ყოფილა რიგი და წესიო.

საჩქაროდ გააკეთეს ოთხი დროშა «ჯვარით მოცული». ერთი უბოძა მეფემ ამირ-სპასალარს ქაიხოსრო ორბელიანს, მეორე — კონსტანტინე მუხრან-ბატონს, მესამე — დიმიტრი ამილახვარს და მეოთხე «მეფეს კერძო ვლიდა».

ქართლ-კახეთის დიდ-კაცობა, ერნი, დარბაისელნი, დასნი სამღვდელონი გაემართნენ მცხეთას; აქვე მოვიდნენ მეფენი და დედოფალნი ქართლისა და კახეთისა. მათ მიეგება ანტონ პირველი კათალიკოზი, აღჭურვილი კეთილ სათნოებითა და სოლომონისა სიბრძნესა არარად კლებული. ყოველ გვარ კურთხევის წესნი, როგორც სამღვდელოთათვის, ისე საერო კაცთათვის, ანტონმა განაწესა; ამ მომზადებას ორი დღე მოუნდა. მესამე დღეს გამობძანდა მეფე თეიმურაზ გარეთ «საყდარს წინ ანტიოქიასა, ზემორე სეფე იდგეს დიდი და სეფესა გვერდით სკამნი დაიდგნეს». აი სწორედ ამ სეფეში დაბძანდა მეფე თეიმურაზი, რომელსაც თან ახლდნენ ქართლ-კახეთის დარბაისელნი; ამათ შორის ზოგი წესისამებრ იჯდა, ზოგი-კი — ფეხზედ იდგა. ამას შემდეგ თეიმურაზს მოართვეს სამეფო შესამოსელი: პორფირი, ბისონი, დიადიმა ბოხჩებით, გვირგვინი, ხმალი, სკიპტრა და აგრეთვე ქვეყნის სფერო. მშვენივრად შემოსილი მთავარეპისკოპოსი არსენი მთავარ-დიაკვნებით საკმეველს აკმევდნენ; ამათ წინ მიუძღოდნენ მგალობელნი დასნი, რომელნიც გალობდნენ «გალობასა ჯვარისასა». ესენი მიუახლოვნენ, თაყვანი სცეს მეფეს და ეამბორნეს. შემდეგ მოსცეს ერთი სამეფო შესამოსელი და იარაღი მთავარ-ეპისკოპოსს, რომელმაც ორისავე ხელით დაიჭირა, და გალობით შეიტანეს ეკკლესიაში.

ამ დროს დარეკეს მწუხრისა და თვით მეფეც შებძანდა ეკკლესიაში, სადაც მოეგებნენ ეპისკოპოსნი და თაყვანი სცეს ბატონსა. დაიწყეს მწუხრის ლოცვა, რომელიც მალე გათავდა. რადგან მეორე დღეს სვეტი-ცხოვლის დღესასწაული იყო, ამიტომ ღამე თევით გარდაიხადეს... ხალხი დიდის სიამოვნებით და მოწიწებით მოელოდა ამ დიდ დღესასწაულს და მეფის კურთხევას. აგერ გათენდა კიდეც. მაშინათვე მშვენიერ და ფერად-ფერად ფარდაგებით მორთეს სეფე, რომლის წინ დამწკრივდა ქართლ-კახეთის ჯარი თავ-თავიანთ დროშებით.

პატარა ხნის შემდეგ გამობძანდა თეიმურაზ მეფეც და დაბძანდა «სეფესა შინა». ჯერ პირველად მეფესთან მოვიდნენ სამღვდელო დასნი, ამ რიგად: კარის დეკანოზსა თავზე ედვა ხატი პატიოსანი, ჯვარის მტვირთველსა — ჯვარი ეპყრა, მთავარ-დიაკვანნი საკმეველს აკმევდნენ, ამათ შემდეგად იმყოფებოდნენ მღვდელნი, რომელთაც ხელში ეჭირათ დიდრონი ლამპარნი და ბოლოს მიდიოდნენ გალობით მგალობელნი. სამღვდელოს შემდეგ მეფეს თაყვანი სცეს იმ ყიზილბაშებმა, რომელნიც ქალაქში იმყოფებოდნენ და კურთხევის სანახავად მცხეთას მოსულიყვნენ. პატრიარქის არქიდიაკონმა მეფეს დიპტიქა მოახსენა და თან ქებაც შეასხა. ეს რომ გაათავეს, მეფე მიიწვიეს ეკკლესიაში.

ამის შემდეგაო — ამბობს ჩვენი მემატიანე პაპუნა ორბელიანი — „წარუძღვნენ ეგრევ დასნი სამღვდელონი, ჰკრეს ქოსთა და სპილენძ-ჭურთა, უწინარეს ყოველთა მორთულთა აქლემთა კიდებულნი ქოს-ნაღარანი და სპილენძ-ჭურნი მიუძღოდეს და ამას დროშა სარდლისა მისდევდეს, მარქაფანი შეკაზმულნი ამას შეუდგნეს, გამგენი კარისანი, მახლობელნი წინა უძღოდა მეფესა სიძე მისი დიმიტრი ორბელიანი, რომელიც იყო მანდატურთუხუცესი და განმგე დიდებულ კარისა“.

დიმიტრი ორბელიანის უკან მოდიოდა ზაალ ორბელიანი, რომელსაც ებარა „წინამძღოლნი მეთოფენი კარისანი“. ამათ შემდეგ მობძანდებოდა თვით მეფე თეიმურაზ მეორე, რომელსაც აქეთ-იქით მოსდევდნენ სარდალი ქაიხოსრო ორბელიანი და მუხრან-ბატონი კონსტანტინე. პირველს ეპყრა მეფის მარჯვენა მკლავი, მეორეს-კი მარცხენა. მეფეს უკან მოსდევდნენ «დიდებულთა კაცთა შვილნი, მშვენიერ და ძვირფას იარაღით შეკაზმულნი.» თითოეულს ამათგანს ცალ-ცალკე მოჰქონდა მეფის რომელიმე იარაღი. დიდკაცობას მოსდევდა ქართლ-კახეთის ჯარი, სამ რიგად დამწკრივებული თავ-თავიანთ დროშით. როდესაც ეს პროცესია ეკკლესიას მიუახლოვდა, იგი პატარა ხანს შეჩერდა. სამი დროშა კარზე დაასვენეს. ჯარი-კი შეიარაღებული ეკკლესიაში შევიდა. ამ ჯართან ერთად მორდალ დავითმა შემოიტანა მეფის დროშა და დაასვენა აღსავლის კარზე. შემოსილნი პატრიარქი, ეპისკოპოზნი და ყოველნი სამღვდელონი კარის-ბჭეში მიეგებნენ მეფესა და თაყვანი სცეს. ერთ

ამ ბოლოს ხანებში ინგლისის პარლამენტში ერთის დეპუტატის ადგილი დაცლილა. ამ ადგილის დაჭერა ბლენტს მოუნდომია. მსურველები, რასაკვირველია, სხვებიც ყოფილან. ყველა საქმეს შესდგომია. ბრძოლა გაჩაღებულა.

ბლენტმა წარმოსთქვა სიტყვა ერთს კრებაზე, სადაც აუარებელი ხალხი იყო შეყრილი. ყველა აღტაცებაში მოიყვანა ბლენტის სიტყვამ, და ხალხმა ტაშის კვრით გააცილა მჭევრმეტყველი მთქმელი. გახარებული, გამარჯვებული ბლენტი შინ დაბრუნდა და მხოლოდ მაშინ შეიტყო, რომ საათი დაუკარგავს. არაფრად იამა, რასაკვირველია, მაგრამ მაინც საათისათვის აღარა სცხელოდა, დაღლილ-დაწყვეტილი იყო, — მიწვა და მალე მიეძინა.

მეორე დღეს, დილა ადრიანად, ჯერ არც-კი ამდგარიყო, რომ ვიღაცა მოვიდა ბლენტის სანახავად, და თან წინა დღეს დაკარგული საათიც მოუტანა.

— როგორ იპოვეთ? — ჰკითხა გახარებულმა ბლენტმა. მომითმინეთ პატარა, ეხლავ საჩუქარს მოგცემთ.

— გმადლობთ, მჯერა, რომ კეთილის გულისა ბრძანდებით, ხოლო მე ღირსი არა ვარ საჩუქრისა: — თქვენი საათი მე არ-კი ვიპოვე, — მოვიპარე.

— მერე თქვენვე!..

— მოგახსენებთ ეხლავე. გუშინ საღამოს თქვენი სიტყვა მოვისმინე და ამ სიტყვამ ისე იმოქმედა ჩემზედ, ისეთი გრძნობა გამიღვიძა გულში, რომ მხოლოდ მაშინ მივხვდი, რა არის ნამდვილი სიყვარული მამულისა, ნამდვილი მამულიშვილობა. არ მინდა, რომ დღეის იქით მამულიშვილის სახელს ვატარებდე და ესევე მამული ქურდადა მთვლიდეს. ესეთი გრძნობა შენ აღძარ ჩემს გულში და საათიც ამიტომ დაგიბრუნე უკანვე.

ესეც არა სადიდ-მარხვო ამბავი! ნურც ეხლა დაიჯერებთ, რომე კარგს სიტყვას (რასაკვირველია, თუ კაი გამგონიცა ჰყავს) დიდი ცხოველი ძალა ჰქონია?!.

**

იქნება ზემოდ ნათქვამზე შორი-შორს არ იყოს ის ამბავი, რომელიც ეხლა მინდა გიამბოთ. ჩვენამდე ჯერ არ მოუღწევია ამ ამბავს, და ევროპაში-კი დიდი ლაპარაკი ასტეხა. მეტადრე მდაბიო, გაუნათლებელი და ცრუ-მორწმუნე ხალხი შიშობს და რაღასიც მოლოდინშია. რა იყო, რა მომხდარა?

ჯერ-კი არაფერი და აი ვარსკვლავთ-მრიცხველებმა, ასტრონომებმა, გამოაქვეყნეს, რომ წელს უნდა გამოჩნდეს ის ვარსკვლავი, რომელიც ამ ათას რვა ასის წლის წინად აღმობრწყინდა აღმოსავლეთით. ეს ის ვარსკვლავია, რომელზედაც სახარება მოგვითხრობს: «აჰა მოგვნი აღმოსავალით მოვიდეს იერუსალიმად და იტყოდეს: — სადა არს, რომელი იგი იშვა მეუფე ურიათა? რამეთუ ვიხილეთ ვარსკვლავი მისი აღმოსავალით და მოვედით თაყვანის-ცემად მისსა». ეს ის ვარკვლავია, რომელმაც აუწყა ქვეყანას, რომ ბეთლემს ურიასტანისასა იშვა ქრისტე მაცხოვარი.

ის ვარსკვლავი, რომელიც წელს უნდა გამოჩნდეს, და «ბეთლემის ვარსკვლავი» სწორედ ერთი და იგივეკია? აქვს მეცნიერებას რაიმე დამამტკიცებელი საბუთი? — ნამდვილი, ისტორიით შემოწმებული საბუთები არა აქვს, ასე რომ დღესაც «ბეთლემის ვარსკვლავი» ძნელად გასაგებ გამოცანად რჩება.

ზოგნი ჰფიქრობენ, ვითომ „ბეთლემის ვარსკვლავი“ კუდიანი ვარსკვლავი იყოვო. მაგრამ ძველს დროში კუდიანი ვარსკვლავები კარგად იცოდნენ და თუნდაც ისევ ის მოგვები არ შესცდებოდნენ. ამათაც რომ თავი დავანებოთ, — ჩინეთის ვარსკვლავთ-მრიცხველებს არ გამოეპარებოდათ და უთუოდ მოიხსენიებდნენ სადმე. ხომ მოგეხსენებათ, რომ ჩინეთში ხელმწიფე ფეხსაც არ გადასდგამს, მინამ ვარსკვლავთ-მრიცხველებს არ დაეკითხება: ვარსკვლავები რას ამბობენ, ბედნიერი იქნება ეს ფეხის გადადგმა, თუ უბედურიო. ამიტომაც ჩინეთის ვარსკვლავთ-მრიცხველებს თვალები სულ ცაზე აქვთ მიჩერებული და კარგადაცა აქვთ შესწავლული ცა და ვარსკვლავები. და აი სწორედ ესენი არსად იხსენიებენ, რომ ქრისტეს დაბადების დროს ცაში სადმე კუდიანი ვარსკვლავი გამოჩენილიყოს. მაშ ცხადია, რომ „ბეთლემის ვარსკვლავი“ კუდიანი ვარსკვლავი არ იყო და სხვა რამ უნდა ყოფილიყო.

სხვა მეცნიერები, ამის გამო, კიდევ იმ აზრისანი არიან, რომ „ბეთლემის ვარსკვლავი“ ესრედ-წოდებული «უძრავი», «დრო-გამოშვებითი» ვარსკვლავი უნდა ყოფილიყოვო. ამ გვარ ვარსკვლავებს «უძრავ» და «დროგამოშვებითს» ვარსკვლავებს იმიტომ ეძახიან, რომ დრო გამოშვებით გამოჩნდებიან ცაზე, დგანან რამდენსამე ხანს, ხან მთელის წლობით, «უძრავად» ერთსა და იმავე ალაგას და მერე ისევ გაქრებიან ხოლმე.

თუ „ბეთლემის ვარსკვლავი“ ასეთი ვარსკვლავი იყო, მაშინ გაუგებარი ხდება შემდეგი ადგილი სახარებისა: «და აჰა ვარსკვლავი იგი, რომელი იხილეს აღმოსავალით, წინაუძღოდა მათ (მოგვთა), ვიდრემდე მოვიდა და დაადგრა ადგილს მას, რომელსა იყო ყრმა იგი».

ამ სიტყვებიდამ ცხადად სჩანს, რომ ვარსკვლავი ცაში მიდენილა და ერთბაშად შემდგარა. ესე უცბად შედგომა, შეყენება არა ვარსკვლავს არ შეუძლიან. მხოლოდ კუდიანი ვარსკვლავი, რომელსაც თავისი საკუთარი გზა აქვს მსვლელობისა, შესდგება ხოლმე თვალ-საჩინოდ, როდესაც მსვლელობას, მიმართულებას

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხარეს მოუდგა თეიმურაზს პატრიარქი, მეორე მხარეს მთავარ-ეპისკოპოსი, წინა მიუძღოდნენ დანარჩენი სამღვდელოდასნი «ჯვარის წინა მღოლითა, ხატითა და ლამპრებითა მთებარითა». ამ რიგად მშვენიერ გალობით შეიყვანეს მეფე ეკკლესიაში, რომელშიაც კარიდგან დაწყებული ეკკლესიის შუა-გულამდის ეშალა ფიანდაზი. აქვე იყვნენ შემოსილნი სომეხთა დასნი და ფრანგნი.

პირველად მეფე მიიყვანეს ალსავლის კარის ქვემო ალაგას. კარშემო იმას ესვია ყველა იქ მყოფი ეპისკოპოზნი. აქ პატრიარქმა მეფეს ჯერ სარწმუნოება ჰკითხა და შემდეგ თვით წაუკითხა ალთქმის ეპისტოლე. ეკკლესიის შუა ალაგას იყო გამართული დიდი ტახტი, რომელზედაც იდგა ორი სელი. როდესაც პატრიარქმა დაასრულა ალთქმის ეპისტოლეს კითხვა, მაშინვე მეფე ავიდა ტახტზე და ერთ სელზე დაბძანდა; გვერდზე პატრიარქი მოუჯდა. ამათ წინ დამწკრივდნენ რიგ-რიგად ეპისკოპოსნი: ერთ მხარეს იდგა მთავარ-ეპისკოპოსი და ექვსი სხვა ეპისკოპოსი, მეორე მხარეს ალავერდელი და აგრეთვე ექვსი ეპისკოპოსი.

რა შემოსეს მეფე თეიმურაზს მარტივი ბისონი, დაიწყეს ლოცვა. წირვის დროს პატრიარქი შებრძანდა წმიდა-წმიდათაში და შემდეგ ამისა მიიწვია მეფე საკურთხევლად. ალსავლის კარამდის მეფეს მისდევდნენ სარდალი ქაიხოსრო და მუხრან-ბატონი კონსტანტინე; ერთს ამათგანს ეპყრა მარჯვენა მკლავი, მეორეს-კი მარცხენა. ალსავლის კარს რომ მიუახლოვდა მეფე, მიეგებნენ მთავარ-ეპისკოპოზი და ალავერდელი, რომელთაც შეიყვანეს საკურთხევლად და მეფეს სცხეს საცხებელი ჯვარის სახედ, ჯერ შუბლზე, ბეჭზე და ბოლოს გულზე.

რა გაათავეს ყველა ეს, ბისონზე ჩააცვეს დიადიმა, წამოასხეს პორფირი, მეფეს გვირგვინი დაადგეს, სკიპტრა მისცეს მარჯვენა ხელში და მარცხენაში-კი ჰქონდა ქვეყნის სფერო.

როდეს მოვიდა წმიდა ზიარების დრო, პირველად ეზიარნენ სამღვდელო დასნი და შემდეგ თვით მეფემ მიიღო წმიდა საიდუმლო პატრიარქის ხელითა. ამ დროს სკიპტრა რევაზს ორბელიანს ეპყრა და ქვეყნის სფერო-კი მეითარ ზურაბს; ესენი მეფის მახლობლად იდგნენ.

გათავდა ყამის წირვა და გამობრძანდა საკურთხევლიდგან «ცხებული მეფე», რომლის ერთი მკლავი ეპყრა პატრიარქს და მეორე-კი მთავარ-ეპისკოპოსსა. მეფე დაბრძანდა სამეფო ტახტზე და ამირსპასალარმა ქაიხოსრო ორბელიანმა მიართვა ხმალი, რომელიც დალოცვის უმალ შემოარტყეს მეფესა. დასასრულ პირველად ეახლნენ მეფეს სამღვდელო დასნი და შემდეგ-კი დარბაისელნი მივიდნენ და «ხელითა კვარცხლბეკთა ეამბორნეს».

ამით გათავდა მეფე თეიმურაზ მეორის კურთხევა ეკკლესიაში. გამობძანდა თუ არა იგი ეკკლესიიდამ, ისეთი დიდი სროლა თოფებისა და ზარბაზნებისა შეიქნა, რომ, თანამედროვე მეხატონის მოწმობით, «ყურთა ხმა აღარ ისმოდა». მეფეს მიულოცეს ჯერ დედოფალმა თამარმა; შემდეგ-კი უფლის-წულნი და ბოლოს ჯალაბნი დარბაისელნი მივიდნენ მეფესთან და კურთხევა მიულოცეს.

რადგან სხვა-და-სხვა გარემოებათა გამო ქართლში დიდის ხნის განმავლობაში არა სჯდომოდათ მეფე „კურთხევით გვირგვინოსანი“, ამიტომ თეიმურაზ მეორის კურთხევა ქართველებმა დიდის სიხარულით გადიხადეს. შეიქნა მეჯლიში და დიდი ლხინი «ვითა მართებდათ ქართველთა და ვითაც ქართლის რიგი ყოფილიყო, ცდილობდნენ გამოჩენასა». მხოლოდ ეს სიხარული ქართველებისა არ იყო ხანგრძლივი. მალე გავრცელდა ხმა, რომ ყაზახის სულთანი მოდისო და თეიმურაზ II ირაკლითურთ შეუდგნენ საქმის მზადებას მტერთან საბრძოლველად.

ალ. გარსევანიშვილი

მოსკოვი

უცხოეთი

ბულანჟეს დათხოვნა სამსახურიდამ

(საკუთარი კორრესპონდენცია)

პარიჟი, 5—17 მარტი. როცა ამ წერილის სათაურს წაიკითხავს მკითხველი, უეჭველია იკითხავს: როგორ? ბულანჟე, რომელსაც მთელი საფრანგეთი შეჰხაროდა, რომელსაც ყოველს ნაბიჯზე ხალხი ზარით და ზეიმით ეგებებოდა, რომლის სახელიც თითქმის ყველას სიმღერების საგანი იყო, სამსახურიდგან გადაუყენებიათ? მართლა-და, თუ კაცმა არ იცის, რა მოხდა ამ უკანასკნელს ხანებში, ეს ამბავი საეჭვოდ ეჩვენება. მეც ეჭვში შევედი, როცა ქუჩაში გაზეთის გამყიდველის ხმა გავიგონე: «ბულანჟეს სამსახურიდგან გადაყენებაო», მაგრამ ჩემი ეჭვი ადვილი ასახსნელია: ამ უკანასკნელის ხანების ამბებმა მეტად გაიტაცეს ზოგიერთი აქაური ჟურნალები და ხშირად თავის სათაურებზე დიდის ასოებით დაწერენ ხოლმე რომელსამე ცრუ ამბავს, მაგალითად, «ბისმარკის სამსახურიდგან გადადგომაო», ან «გერმანიის ახალის იმპერატორის სიკვდილიო», და ამ სახით ყიდიან მრავლად თავიანთ გაზეთებს.

ბულანჟეს ამბავიც ამ ნაირი მეგონა, ვიდრე ხელში სანდო გაზეთი ავიღე, როგორც აქ ეძახიან, ჟურნალი არ ჩამივარდა; აქ გენერლის სამსახურიდგან გადაყენების ახალს ამბავთან სამხედრო მინისტრის წერილიც იყო მოთავსებული რესპუბლიკის პრეზიდენტთან. მინისტრი ამბობდა, რომ ბულანჟე, ჩემ ნებადაურთველად, სამჯერ მოვიდა პარიჟში და ამიტომ გთხოვ პრეზიდენტს, ბულანჟე სამსახურიდგან გადააყენოსო. ბ-ნი კარნოც თანახმა გამხდარიყო ამაზედ და ხელი მოეწერა იმ ბრძანებისათვის, რომლის ძალითაც ბულანჟე გადაყენებულიქმნა სამსახურიდამ.

ეჭვი აღარ შეიძლებოდა ამის შემდეგ. საინტერესო მხოლოდ იმის გაგება-ღა შეიქნა, მართლა პარიჟში ჩამოსვლა ბულანჟესი იყო მიზეზი იმის დათხოვნისა, თუ სხვა რამ უფრო საყურადღებო მიზეზი? პარიჟში დაუკითხავად მოსვლისათვის რომ ითხოვდნენ სამსახურიდგან მოხელეებს, დღეს, არა თუ კორპუსის უფროსი, უბრალო მოხელეს სახელიც-კი აღარ იქნებოდა საფრანგეთში: მგონი კვირა არ გავა, რომ ცოტად თუ ბევრად შეძლებული მოხელე არ ეწვიოს პარიჟს, ამ მსოფლიოს ახალს ბაბილონს.

არა, ბულანჟეს გადაყენების მიზეზი სულ სხვა არის...

როცა გობლეს სამინისტრო დაეცა და ბულანჟეც გამოეთხოვა მინისტრობას, იმისმა მეგობრებმა ურჩიეს, რომ დეპუტატობის კანდიდატობა ისურვე, რადგან სამხედრო კანონის პროექტი დაიცვაო. ბულანჟემ უარი სთქვა. ამის მიუხედავად პარიჟის ამრჩეველებმა (ამ დროს პარიჟი დეპუტატს ირჩევდა) თითქმის 60,000 კენჭი ჩაუგდეს ბულანჟეს. ამ გარემოებამ შეუმჩნევლად ჩაიარა.

შემდეგ, თითქმის ერთმა წელიწადმა გაიარა, ბულანჟეს ბევრი რამ შეემთხვა: ლიონის სადგურის მანიფესტაცია, 30 დღით დატუსაღება და სხვა, მაგრამ უკანასკნელს ხანებში სუყველაფერი მიყუჩდა და ბულანჟეზე, როშფორისა და ორიოდე სხვა მეგაზეთეს გარდა, კრინტს სხვა არავინ იღებდა.

26 წასულს თებერვალს 8 დეპარტამენტში დეპუტატების არჩევნები უნდა მომხდარიყო; შესდგნენ სხვა-და-სხვა დასების კომიტეტები და თავ-თავის კანდიდატების გამარჯვებას ცდილობდნენ. ჟურნალებში დიდი ლაპარაკი ასტყდა და ამ ლაპარაკში ხმა გავარდა, რომ ერთი კომიტეტი კენჭოსნებს ბულანჟეს დეპუტატად არჩევას ურჩევსო.

ცხადია, ამ ამბავს ყურადღება მიაქციეს და კომიტეტის ვინაობის შეტყობას ცდილობდნენ; აღმოჩნდა, რომ კომიტეტის მეთაური ცნობილი მონარქიელია, თუმცა თითონ აცხადებდა, რომ რესპუბლიკელი ვარო. ეს საკმარისი იყო ფრთხილის ხალხისათვის და ბულანჟეს მტრებისათვის, რომ გენერალზე ეჭვი შეეტანათ. ზოგმა დაიწყო ლაპარაკი, რომ ბულანჟე საფრანგეთიდამ გავდევნოთო.

რადიკალები ამბობდნენ, რომ შეუძლებელია ბულანჟეს თანხმობით მოქმედობდეს კომიტეტიო და ამიტომ ურჩევდნენ გენერალს: საჯაროდ გამოაცხადე და უარ-ჰყავი შენი ერთობა და იმ კომიტეტისაო. დღე-დღეს მისდევდა და ბულანჟეს წერილი-კი არსად სჩანდა; ბოლოს არჩევნების დღეც დადგა და ბულანჟეს რვა დეპარტამენტში 54,000 კენჭი ამოუვიდა.

ამ გარემოებამ უფრო აალელვა აქაური მწერლობა, მეტადრე ოპორტუნისტებისა. ეს ოპორტუნისტები ამბობდნენ, რომ ბულანჟეს დიქტატორობის ხელში ჩაგდება უნდაო. რადიკალებიც ითხოვდნენ: ბულანჟე მოვალეა ამ საქმეს ნათელი მოჰფინოსო, თუმცა ჩვენ არა გვჯერა, რომ მართალი იყოს, რასაც ოპორტუნისტები ამბობენო.

ბოლოს ჟურნალებში ბულანჟეს წერილი დაიბეჭდა, სამხედრო მინისტრთან მინაწერი. ამ წერილში ბულანჟე ამბობდა, რომ არჩევნებში არავითარი მონაწილეობა არ მიმიღიაო, მაგრამ საქმე ისე შორს იყო წასული, რომ ამ წერილმა ვეღარ დაამშვიდა ჟურნალ-გაზეთობა, და აი ამ ვაი-ვაგლახში გავიგეთ, რომ ბულანჟე სამსახურიდგან გადაყენებულიაო.

ეხლა ბულანჟეს მდგომარეობა ასეთია: გენერალმა იქ უნდა იცხოვროს, სადაც სამხედრო მინისტრი უბრძანებს; იმ დრომდე, ვიდრე სრულებით არ გამოვა სამხედრო სამსახურიდგან, იმისი დეპუტატად არჩევა არ შეიძლება; დასჯის ვადა სამი წელიწადია, თუმცა სამხედრო მინისტრს მოკლე ხანშიაც შეუძლიან დაუბრუნოს კვლავ კორპუსის უფროსობა; ჯამაგირი სამის მესამედით შემცირებული აქვს. ბულანჟე იმავე საღამოს მოვიდა პარიჟს, რადგანაც ოფიციალურ ჟურნალში იმის გადაყენების ამბავი იყო დაბეჭდილი. გზაზე რამდენიმე დეპუტატი, იმისი კერძო მეგობრები და ჟურნალისტები მიეგებნენ. გენერალი პარიჟში მოსვლის უარს არ ამბობს და მიზეზად მეუღლის ავადმყოფობა მოჰყავს, მაგრამ ჩემის გადაყენების მიზეზი პარიჟში ნება-დაურთველად მოსვლა არ არისო.

მეგობრები ურჩევენ—სამსახურიდგან გამოდი და დეპუტატობაზე კანდიდატობის სურვილი გამოაცხადეო, მაგრამ ბულანჟე სამხედრო სამსახურს არ ანებებს თავსა.

ამის მიუხედავად შესდგა კომიტეტი რამდენისამე დეპუტატისაგან და სამის რადიკალის ჟურნალისაგან (France, Intransigeant და Lanterne), რომელსაც აზრადა აქვს ყოველს არჩევნებში ბულანჟეს კანდიდატობა დაასახელოს და ამ არჩევნებით სამინისტროს წინააღმდეგო მანიფესტაცია გამართოს.

25 ამ თვეს ორს დეპარტამენტშია არჩევნები და ორივეში ბულანჟეს კანდიდატობაა დასახელებული. ეჭვი არც გენერლის მეგობრებსა აქვთ, არც იმის მტრებს, რომ ამ დეპარტამენტებში ბულანჟე გაიმარჯვებს.

პარიჟზე ამ ამბავმა ისე არ იმოქმედა, როგორც მოსალოდნელი იყო, თუმცა ჟურნალებს იტაცებენ, ქალაქში დიდი ჩოჩქოლი და ფაცი-ფუცია და ხშირად «გაუმარჯოს ბულანჟეს!» ძახილს გაიგონებთ.

ცვლის, პირდაპირ გზას შეუხვევს ხოლმე.

მაშასადამე, ორში ერთი უნდა ავიღოთ: ან უნდა ვიფიქროთ, რომ „ბეთლემის ვარსკვლავი“ კუდიანი ვარსკვლავი იყო, რომ „წინა-უძღოდა მათ, ვიდრემდე მოვიდა და დაადგრა ადგილსა მას“, ან უნდა „უძრავი“, «დრო გამოშვებითი» ვარსკვლავი ყოფილიყო, და მაშინ მოგვებს წინ აღარ გაუძღვებოდა.

ამიტომაც მეცნიერება დღეს გადაწყვეტილად ვერაფერს ამბობს, თუმცა უმეტესობა-კი იმ აზრს ადგა, რომ «ბეთლემის ვარსკვლავი» «უძრავი», «დრო, გამოშვებითი» ვარსკვლავი იყოვო. აი რა საბუთები მოჰყავთ სხვათა შორის.

**

1572 წელს ცაში გამოჩნდა ერთი მეტად ბრწყინვალე ვარსკვლავი. ეს ვარსკვლავი შეჰნიშნა პირველად ერთმა ვარსკვლავთ-მრიცხველმა, სახელად ტიხო-დე-ბრაგემ, 11 ნოემბერს, და ძლიერ გაჰკვირდა. გაჰკვირდა იმიტომ. რომ თუმცა წინა დღითაც კარგად ჰქონდა გასინჯული ის ალაგი, სადაც დღეს ეს ვარსკვლავი მოკაშკაშებდა, მაგრამ წინა-დღით იქ არაფერი ვარსკვლავი არა სჩანდა. ტიხო-დე-ბრაგემ გასინჯა, გამოიძია და აღმოჩნდა, რომ ეს ვარსკვლავი „უძრავი“ ვარსკვლავია. სინათლით-კი ისე ძლიერ ანათებდა რომ დღითაც-კი, როცა კაშკაში მზე იდგა, სჩანდა. თან-და-თან ეს ვარსკვლავი სინათლეს კლებულობდა და 1574 წელს, მაშასადამე, ორის წლის შემდეგ, სრულიად გაჰქრა.

იმ დროს ჯერ ტელესკოპები არ იყო შემოღებული. მერე დიდრონ ტელესკოპებით სინჯეს, ეძებეს ეს გამქრალი ვარსკვლავი იმ ალაგას, საცა 1572 წელს სჩანდა, მაგრამ კვალიც ველარ მიაგნეს.

იკითხეს, იქნება ადრეც ყოფილიყოს ამავე ადგილას ეს ვარსკვლავიო. გადასინჯეს ისტორია, გამოიკვლიეს, გამოიძიეს და მართლა აღმოაჩინეს, რომ იმავე ალაგს და ისეთივე ვარსკვლავი, რა ალაგასაც და როგორიც ტიხო-დე-ბრაგემ 1572 წელს ნახა, ყოფილა 945 და 1264 წლებში.

ეს რიცხვები რომ გაჰსინჯოთ, ერთი მეორეს გამოაკლოთ, დაინახავთ, რომ პირველი ნაკლებია მეორეზე 319, მეორე მესამეზე—308, ანუ ორთა შუა რიცხვი რომ ავიღოთ, თითქმის 313 გამოვა. მაშ ამ ვარსკვლავს უსწორ-მასწოროდ-კი არ უვლია, არამედ გარდაწყვეტილ, განსაზღვრულ ვადაზე უჩენია თავი, ესე იგი წელს თუ გამოჩნდა ეს ვარსკვლავი, შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ 313 წლის შემდეგ კიდევ გამოჩნდება.

ეხლა თუ უკან წავალთ და ამ გვარათვე გამოვიანგარიშებთ, აღმოჩნდება, რომ იგივე ვარსკვლავი, რომელიც ტიხო-დე-ბრაგემ ნახა, უნდა ყოფილიყოს 631 წ., 318 და ქრისტეს შობის დროს, ან იმაზე ცოტა შორი-ახლოს.

აი ის საბუთი, რომლის გამო ჰფიქრობენ, რომ ტიხო-დე-ბრაგეს «უძრავი» ვარსკვლავი და „ბეთლემის ვარსკვლავი“ ერთი და იგივე უნდა იყოსო. მაშასადამე, ცხადია, რომ ის ვარსკვლავიც, რომელიც, ასტრონომების გამოანგარიშებით, წელს უნდა გამოჩნდეს, და «ბეთლემის ვარსკვლავი» ერთი და იგივე უნდა იყოს.

**

თუნდა ასეც იყოს, რა არის აქ საშიშიო?—იკითხავთ.

— ჩვენც, რასაკვირველია, მაგას ვიტყვით, რომ საშიშარი და უბედურების მომასწავებელი აქ არაფერია. მაგრამ წადი და ჰკითხე გაუნათლებელს ხალხსა. განა დააჯერებ, რომ აქ ჩვეულებრივი ბუნების მოვლენაა და სხვა არაფერი.

იმათ, ვისაცა სჯერა, რომ კუდიან ვარსკვლავის ამოსვლა, მზის ან მთვარის დაბნელება რაღაც უბედურებას მოასწავებსო, ვერას ჩააგონებ. თუ-კი რისიმე გაგება უნდოდეთ, განა თავიანთ თვალით არა ჰხედვენ, რომ კუდიანი ვარსკვლავიც ბევრჯელ ყოფილა, მზისა და მთვარის დაბნელებაც, მაგრამ ქვეყანას-კი უბედურება არ დაჰმართვია. მაშ დღეს ამ ვარსკვლავისა რაღას შეჰშინებიათ?

— თუ პირველად ამ «ვარსკვლავის» გამოჩენამ ქრისტეს მოსვლა აუწყა ქვეყანას, მაშ ეხლაც იგივე «ვარსკვლავი» ქრისტეს მეორედ-მოსვლას უნდა მოასწავებდესო,—იძახის თურმე ცრუ-მორწმუნე, გაუნათლებელი ხალხი.

ჯერ ერთი, რომ ამ „ვარსკვლავის“ გამოჩენა არც პირველი და არც უკანასკნელია. ეს „ვარსკვლავი“ ქრისტეს წინადაც უნდა ყოფილიყოს, ქრისტეს შემდეგაც ყოფილა და ყოფილა, როგორც ზემოდ ვნახეთ, არა ერთხელ, და უეჭველია, ჩვენ შემდეგაც იქნება. მაშ მეორედ-მოსვლასთან და განკითხვის დღესთან ამ «ვარსკვლავს» არაფერი ხელი არა აქვს.

მართალია, ცის ქვეშ არა არისრა უკვდავი და დაუსრულებელი. ყველას ბოლო და დასასრული მოელის,—მაშასადამე, ჩვენს დედამიწასაც, როდესაც იქმნება, ბოლო მოელება. მაგრამ იცით როდის?—ორას მილიონ წელიწადის შემდეგ. ვინ მოიფიქრებდა, რომ ჩვენი დედამიწა ასეთ ბედნიერ ვარსკვლავზე ყოფილა დაბადებული. ვინ დაიჯერებს, რომ ჩვენს ცოდვილს დედამიწას ასეთი ხანგრძლივი სიცოცხლე კიდევ მოელის. ხუმრობად არ მიიღოთ, ჩემი მოგონილი არ გახლავს,—ამას ამბობს და მეცნიერებაზე დამყარებულ საბუთებით ამტკიცებს გამოჩენილი სწავლული ტომსონი.

დავუჯეროთ... მერწმუნეთ, ასე ემჯობინება:— მეცნიერების სიტყვა უფრო სარწმუნოა და ჭეშმარიტების მომასწავებელი, ვიდრე ვარსკვლავის ამოსვლასა და ჩასვლაზე ტყუილ-უბრალოდ გულის გახეთქა.

დონ-იაგო

გუშინ ბულანჟე ფიაკრში იცნეს და უცებ იმდენი ხალხი მიესია, რომ ფიაკრი შეჩერდა, გენერალმა ფიაკრი გაისტუმრა და ერთის ქალის მაღაზიაში შევიდა; ქალმა ბულანჟეს მიაგვანა გენერალი და ცნობით-კი ვერ იცნო. როცა გაიგო თავის სტუმრის სახელი, კარები დაკეტა და პოლიციას შეატყობინა. პოლიციის აგენტმა ერთს ახლო სახლში შეიყვანა იქიდგან გენერალი, სხვა კარებით გააპარა და თავის გზაზე გაისტუმრა.

ბულანჟეს ამბავს გუშინდელს აქეთ რესპუბლიკის პრეზიდენტის მამის გარდაცვალების ამბავი ზედ დაერთო.

ბ-ნ კარნო, მშობელი მამა პრეზიდენტისა, უხუცესი სენატორი იყო და რესპუბლიკისათვის თავ-დადებული მოღვაწე.

იმისმა სიკვდილმა აქაურს მწერლობაში მწუხარება გამოიწვია.

პ. ყ—ნი

წვრილი ამბები

გერმანიის გაზეთები სავსეა ანეგდოტებით გერმანიის იმპერატორ ვილჰელმის ცხოვრებიდგან. აი სხვათა შორის რას ამბობენ. ექიმმა ლაუერმა, რომელიც იმპერატორ სწამლობდა, რამდენჯერმე სთხოვა თურმე, რომ, თუ ღამე მოგინდეს რამე, ყოველთვის მსახურს დაუძახეო. ერთხელ იმპერატორს ღამე წამოდგომა მოუნდა, არ უნდოდა მსახური შეეწუხებინა, თითონვე წამოდგა საწოლიდგან, ხოლო ისეთი სუსტი იყო, რომ თავი ვერ შეიმაგრა და იატაკზედ დაეცა. როცა მსახური მოვიდა და წამოაყენა, იმპერატორმა სთხოვა თურმე მსახურს, რომ ექიმ ლაუერს ნურაფერს ეტყვი ამ ამბისასაო. ამ უბრალო საქმეს-კი დიდი გავლენა ჰქონდა თურმე იმპერატორის სიცოცხლეზედ. იმპერატორი იატაკზე წოლის დროს გაცივდა და ის იყო და ის, მას შემდეგ ლოგინიდგან თავი ვეღარ აიღო.

— «New-York Herald»-სა სწერენ ბერლინიდგან, რომ ექიმმა მაკენზიმ, რაც ბერლინში დაბრუნდა, რამდენიმე წერილი მიიღო მუქარისა და კიცხვისაო. იმპერატორ ფრიდრიხ III უბრძანა, რომ ყოველივე ღონე იღონეთ ექიმის მაკენზის დასაცველად და დასახსნელად, თუ ვინიცობაა თავ-დასხმა მოუნდომა ვინმემაო.

— ცანგს, რედაქტორ-გამომცემელს ვენის გაზეთ ,,Presse''-სას, რომლის სიკვდილი ჩვენ უკვე ვაუწყეთ მკითხველებს, 40 მილიონი ქონება დაუტოვებია.

— გერმანიის გაზეთი ,,Reichsbote'' დიდი წინააღმდეგია, რომ გენრიხ გეინეს არ უნდა დავუდგათ ძეგლიო. იქნება ამ წინააღმდეგობის მიზეზი ისიც იყოს, რომ გეინეს, როგორც ცნობილია, არ უყვარდა გერმანელები. პოეტის ხასიათის საჩვენებლად გაზეთს ალბრედ მეისნერის ავტობიოგრაფიიდგან ის ადგილი მოჰყავს, საცა მეისნერი ებაასება მატილდას, გეინეს ცოლსა. მატილდა სულ იმას სჩიოდა თურმე, რომ გერმანელების გამო დიდს უსიამოვნებაში ვარ ჩავარდნილიო. ,,ახ, ეს გერმანელები—დაიწყებდა ხოლმე ყოველთვის წუწუნს—ეშმაკები არიან, გაიძვერანი და ბოროტნი. მხოლოდ ერთად-ერთს ზეიფერტზე არ ითქმის, ცუდი კაცი იყოს; ზეიფერტი სულ სხვა კაცია: კეთილის გულისაა და ერთგული. ვერა, ვერა, მე ვერასოდეს ვერ ვიცხოვრებ გერმანელთა შორის''. მეო—ამბობს მეისნერი—მომწყინდა ამ საჩივრების მოსმენა და მინდოდა, როგორმე დამეშლევინებინა გეინეს მეუღლისათვის. ერთხელ ვუთხარ: მე თქვენ აგიხსნით ამოცანას და, თქვენდა გასაოცებლად, შეიტყობთ, რომ თქვენ დიდი მეგობარი და დიდი თაყვანის-მცემელი ჰყოფილხართ გერმანელებისა. ყველა იმათში, ვისზედაც ჰლაპარაკობთ, მხოლოდ ერთად-ერთი ზეიფერტია ნამდვილი და ჭეშმარიტი გერმანელი; რასაკვირველია, დანარჩენიც გერმანელები არიან, ხოლო არა-ჭეშმარიტნი, ებრაელები გახლავან, რომელნიც თუმცა დიდი ხანია ჩვენ შორის სცხოვრობენ, მაგრამ ზოგიერთი თან-დაყოლილი ზნე და ჩვეულება მაინც ვერ მოუშლიათ. მაშ ასე, გიცხადებთ: ვისზედაც თქვენა სჩივით, ისინი გერმანელები-კი არა, ებრაელები არიან.

,,— რას ამბობთ?—წამოიძახა გაკვირვებით მატილდამ:—ესენი ებრაელები არიან?

,,— რასაკვირველია.

,,— ალექსანდრე ვეილი, ვსთქვათ, ებრაელია, თითონვე მითხრა, რაბინობა მინდაო, მაგრამ ნუ თუ დანარჩენნიც ებრაელები არიან. მაგალითებრ, ნუ თუ ებრაელია ეიტელესი; იმას ნამდვილი გერმანული გვარი აქვს.

,,— გერმანული-კი არ გახლავთ ეგ გვარი, ძველ ბერძნულია და ეიტელესის ძარღვებშიაც ერთი წვეთი არ იპოვება გერმანულის სისხლისა.

,,— ძალიან კარგი, ხოლო აბელეს გამბერგერი? ისიც ებრაელია?

,,— ისიც ებრაელი გახლავსთ.

,,— ოჰ, არა, თქვენა სცდებით, ებრაელი არ არის; აგრე რომ მივყვეთ, თქვენ ბოლოს იმასაც იტყვით, რომ კონიც ებრაელიაო და კონი-კი ხომ ჩემის ჰენრიხის ნათესავია!

აქ-კი შევდექი და ჩემს სიტყვებზედვე უარი ვსთქვი. ამ გვარად, უეცრად შევიტყე, რომ ჰენრიხ ჰეინე ცოლს უმალავდა თავის ებრაელობას და იმასაც გულ-უბრყვილოდა სჯეროდა, ვითომ ჩემი ქმარი ფრანგია და პროტესტანტიო. ,,თქვენ მართალსა ბრძანებთ —ვუთხარ მე,—კონის შესახებ-კი ვსცდებოდი, ის ებრაელი არ არის''.

◆

დეპეშა

17 მარტი

პეტერბურგი. გზათა სამინისტრომ დაადგინა განაკარგოს მარიინის არხები და ამ საგნისათვის გადადვა ოთხი მილიონი და ნახევარი. ყოველივე მუშაობა დასრულებული უნდა იქმნას ხუთის წლის განმავლობაში.

ვენა. გაზ. «Neue Freie Presse»-სათვის დეპეშით უცნობებიათ სოფიიდგან, რომ კარაველოვის გაზეთი «ტირხოვოს კონსტიტუცია» ბოლგარიის საქმის გამო ამბობს შემდეგს: პრინცი კობურგისა სამთავრო ტახტზე ავიდა ხელ-შეკრულობათა წინააღმდეგ და ევროპიის სახელმწიფოთა ნება-დაურთველად მოვიდა ბოლგარიაში; ევროპას არ შეუწყნარებია ყოველივე ესე და ამიტომაც ბოლგარიის მდგომარეობა კიდევ უფრო გაძნელდა. ის აზრი, ვითომ ბოლგარიამ წინააღმდეგობა უნდა გაუწიოს რუსეთისა და ოსმალეთის ჯარებს, სასაცილოაო, ამბობს გაზეთი, რადგანაც ფული არ არის და აღმოსავლეთ-რუმელიის ბედსაც განსაცდელი დაადგებაო. ბოლგარიის ჯარი არ იომებს თავის კეთილის-მყოფელ რუსეთის წინააღმდეგაო. დასასრულ გაზეთი ამბობს, რომ ბოლგარიას, ერთად-ერთი საშუალებაღა დარჩენია: ბოლგარიის მართებლობა უნდა შეურიგდეს რუსეთსა, თავის კეთილის-მყოფელსა და მფარველსაო.

18 მარტი

პეტერბურგი. საგეოგრაფიო საზოგადოების თხოვნით ხელმწიფე იმპერატორმა ინება და ბრძანა, რომ ცნობილს მოგზაურს მონგოლიასა და ჩინეთში პოტანინს მიეცეს ყოველ წლიურად 800 მანეთი პენსია სიკვდილამდე.

გაზეთი «Гражданинъ»-ი იუწყება, ვითომ განხილვა ადგილობრივის რეფორმისა და სათემო «უჩასტკების» უფროსების განწესებისა გადადებულია შემოდგომამდეო.

ბერლინი. მემკვიდრე ცესარევიჩის რაინდულს და პატიოსანს მოქმედებაზე აქ დიდის მადლობითა და თანაგრძნობით ლაპარაკობენ როგორც მწერლობასა, ისე საზოგადოებაშიაც; ამის დასამტკიცებლად მოჰყავთ სხვა-და-სხვა ამბები; ძლიერი ზედ-მოქმედება ჰქონია ამ გარემოებას, რომ მემკვიდრე ცესარევიჩს დიდი გულ-მტკივნეულობა გამოუჩენია განსვენებულის იმპერატორის კუბოს წინაშე და აგრეთვე იმას, რომ მისი უმაღლესობა ოცის წუთის განმავლობაში ხმალ-ამოღებული იდგა კუბოსთან სხვა ოფიცერთა და დიდებულთა შორის.

უმაღლესს საფინანსო წრეებში ლაპარაკობენ, ვითომ რუსეთის მანეთის კურსის აწევა შემთხვევითი და დროებითი საქმე-კი არ არის, არამედ დამოკიდებულია პოლიტიკურსა და საფინანსო გარემოებაზეო.

ვენა. გაზეთ «აღმოსავლეთის კორრესპონდენციას» სწერენ ბერლინიდგან: პარასკევს, მინისტრთა ბჭობის დროს იმპერატორის თავ-მჯდომარეობით, თ. ბისმარკმა, განმარტა რა იმპერატორის მიერ ნება-დართული პროგრამა გარეშე პოლიტიკისა, სთქვა, რომ გერმანიას საგნადა აქვს დაიცვას მშვიდობიანობა და დაეხმაროს რუსეთს ხელ-შეკრულობათა მიხედვით, ისე რომ არც ავსტრიის ინტერესები დაიჩაგროს. გერმანია ერთგული იქმნება ავსტრიისა და ამასთან ეცდება აამოს რუსეთსაცა.

სოფია. რუშჩუკში დიდი უწესოება მოჰხდა იმის გამო, რომ ხალხმა არ ისურვა გადასახადის მიცემა.

ოსმალეთმა აღმოსავლეთ რუმელიის საზღვარზე სამხედრო «კორდონი» გამოაყენა და ამის გამო ბოლგარიის მმართველებმა მიზეზი მოჰკითხეს.

პარიჟი. ბულანჟე ცირკულიარში ჩრდილოეთის დეპარტამენტის ამომრჩეველთა მიმართ ამბობს, რომ ერთად-ერთი საშუალება ქვეყნის სახელისა და პარლამენტის ავტორიტეტის აღდგენისა პარლამენტის დათხოვნა და კონსტიტუციის გადასინჯვა და გადათვალიერებააო.

პეტერბურგის ბირჟა 15 მარტი

	მყიდველ-სა.		გამყიდ-ველსა.		გაყიდუ-ლისა.	
	მან.	კ.	მან.	კ.	მან.	კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო.	—	,,	—	,,	9	66
ტამოჟნის კუპონები .	—	,,	—	,,	193 1/4	
მანათიანი ვერცხლის ფული	—	,,	—	,,	1	42
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	—	,,	—	,,	266	
—მეორისა	—	,,	—	,,	244 1/4	
გირავნობ. ფურცელნი ტფილისის ბანკისა .	—	,,	—	,,	—	,,
ქუთაისის ბანკისა . .	—	,,	—	,,	—	,,
ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა	—	,,	—	,,	—	,,

სავალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპჱ (1888) წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ 7396.
ძველი ინდიქტიონი მე-14,
ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე 4,
ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1888 წლის ზედ-ნადები—25.

მარტი 31 დღით არის.

19 დღე შაბათი. წმ. ხარისანფისა და დარიასი. კათოლ. იოსებისა. მუსულ. მე-19 რიცხვი თთვისა რეჯებისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—4. ტფილისში მზე ამოდის 5—45. ჩადის 6—25. მთვარე 20 დღისაა.

20 დღე კვირა. წმ. იოანესი და კლავდიასი. კათოლ. ალექსანდრესი. მუსულ. მე-20 რიცხვი თთვისა რეჯებისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—4. ტფილისში მზე ამოდის 5—43, ჩადის 6—26. მთვარე 21 დღისაა.

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

16 მარტიდამ 1 აპრილამდე

თეთრი პური რუსული 1 გირ.		5	კაპ.
პური	1-ის ხარისხისა . .	3	»
	2 ›	2 1/2	»
თონის წითელი პური	1-ის ხარის.	5	›
› »	2 ›	3 1/2	
› ›	3 ›	3	›
ჯვარის მამის პურის ლავაში			›
	1-ლის ხარისხისა .	5	›
	მე-2 ხარისხისა .	4	›
	მე-3 — . .	›	›
ცხვრის ხორცი	1-ლის ხარისხისა.	11	›
სუკი		16	›
ძროხის ხორცი . . .		9	›
›	2 ›	8	›
ღორის ხორცი	1-ის ხარისხისა.	»	›
›	2 ›	»	›

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა

შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკეობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით — დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით; ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით—დილის 9 საათზე და მასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით, რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

კვირაობით, საღამოზე, და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკეობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისაკენ, ხოლო თუ საწაროა, ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანაოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

განცხადებანი

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და წერა-კითხვის საზოგადოების სამართველოში:

საუკეთესო ცოდნა

შედგენილი და ახლად შესწორებული გიორგი წერეთლისა.

გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა

ფასი ერთი აბაზი

დავიწყეთ გასყიდვა სრულიად უშიშარის

შვედურის სპიჩკებისა,

რომელიც ბევრად განკარგებულია და გაუმჯობესებული, თეთრი ალი აქვს და ფრიად იაფადაცა ღირს. ნარდად მყიდველთ ბევრი დაეთმობათ.

ქარხანა

გ. ბ. ტერ-ასატუროვისა და კ°.

ვერაზე, ტფილისის ქალაქში.

(50—38)

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ-Са
рай Земельн. Банка, № 109,110

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულ ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შემ ნილი წიგნები:

	მან.	კ
ანბანი კანვაზე საკერი, გ. ტატიშვილისა	,,	2
ბუნების მოვლენანი, ს. მესტიაშვილისა	,,	1
ფშაური ლექსები, გაზ. «ივერიის» გამოცემა.	,,	40
ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ	,,	30
ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა.	,,	50
საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. . . .	3	,,
სამართლის წიგნი ვახტანგ რჯულ-მდებლისა (რუსულს ენაზე)	3	50
საუკეთესო ცოდნა გიორგი წერეთლისა მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . .	,,	20

ქ. გორში სობოროს ქუჩაზედ,

გავაღე

ქართულის წიგნის მაღაზია.

ყველა წიგნის გამომცემელს შეუძლიან გამომიგზავნოს თავისი გამოცემა ჩვეულებრივის კომისიითა.

(5—5) კონსტანტინე ცხვედაძე

განცელარია და წიგნთ-საწყობი

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა გადავიდა ახალს სადგურში, სათავად-აზნაურო ბანკის ქარვასლაში, თეატრის გვერდით, №№ 109 და 110. წიგნთ-საწყობი ცალკე არის მომართული. წიგნთ-საწყობში ისყიდება ყოველ გვარი ქართული წიგნი და სახელმძღვანელოები. ვინც ქალაქს გარედ წიგნს ან სახელმძღვანელოს დაიბარებს, დაუყოვნებლივ გაეგზავნება, მხოლოდ ფოსტის ხარჯი-კი მყიდველმა უნდა გადაიხადოს. განცელარია და წიგნთ-საწყობი ღია იქნება გარდა კვირა-უქმეებისა დილის 9 საათიდა საღამოს 8 საათამდე. ვისაც განცელარიასთან, ან წიგნის-საწყობთან რამე საქმე ექმნება, ამ ადრესით უნდა მოჰმართონ: Тифлисъ. Въ канцелярію (ან книжный складъ) Общества распространенія грамотности Дворцовая ул., Караванъ-Сарай Земел. Банка, №№ 109 и 110. (50—11)

Доз. цен. Тиф., 18 марта 1888 г. Типографія А. А. Михельсона, Гол. Проспектъ въ д. Читахова. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე